სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე

წევრები:

ზურაბ მესხიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **239402678**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☒ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №667415 - 04/06/2026 ბრძანებით შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე და ზურაბ მესხიძე დაევალა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების პირველადი ავტორიზაციის დასკვნა, დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 14 ივნისს განახორციელა ვიზიტი ქ. საჩხერეში, მისამართზე ვ.ნოზაძის ქ. №19.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და შეისწავლეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ სკოლის ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების პროგრამების ადმინისტრირების განმახორციელებელ პერსონალ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სტუდენტებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური და სასწავლო რესურსი. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რამდენადაც დაწესებულებას არ ჰქონდა საკუთრებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი და არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი, ხოლო მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, რამდენადაც დაწესებულებას მოსაძიებელი ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიული განათლების მიმართულებით და საჭიროებდა ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებას. ექსპერტთა მოსაზრებით, ამ ეტაპზე ორივე სტანდარტთან მიმართებით შეფასება არის „სრულად შესაბამისი“. დაწესებულებამ შეისყიდა და მოქმედი წესის შესაბამისად ბალანსზე აღრიცხა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო, პროფესიული სტანდარტით განსზღვრული მატერიალური რესურსი, მოიძია პროგრამით განსაზღვრული ყველა მოდულის განმახორციელებელი და უზრუნველყო მათი კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი გადამზადების ტრენინგების ორგანიზებით; დაწესებულების მიერ დამუშავდა ორგანიზაციული სტრუქტურის ახალი მოდიფიცირებული ვერსია, მოქმედი დოკუმენტების მოდიფიცირება და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალის მოძიება. შედეგად, ზსდ-ს განკარგულებაშია მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო სივრცე, რომელიც გამოყენებულ იქნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსი, როგორც პროგრამული, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების თვალსაზრისით, ზსდ-ს ორგანიზაციული მოწყობის ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში ძირითადი და დამხმარე საქმიანობის ოპტიმალურად წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის №983048 ოქმის მიხედვით** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
„Front – end დეველოპმენტი“	20	5	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის №983048 ოქმის მიხედვით *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„Front – end დეველოპმენტი“	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება [redacted] ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	[redacted] შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 07 ივლისს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც ზსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ზსდ-ს დირექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის №2-46 (ცვლილება №2-102, 28.11.2025 წ.) ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის ,,პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები" შესაბამისად მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის პროფესიული მიმართულებით დასაქმებული ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა, სადაც ჩანს თითოეული პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. ზსდ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. დაწესებულებაში უშუალოდ პროფესიული მიმართულებით დასაქმებულია 4 ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებთანაც ზსდ-ს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რაც შეეხება ისეთ პოზიციებს, რომლებიც შეიძლება საერთო იყო (ბიბლიოთეკარი, საქმის მწარმოებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ექიმი და ა.შ.), როგორც ზოგადსაგანმანათლებლო ისე პროფესიული მიმართულებით, სკოლას აღნიშნულ პერსონალთან გაფორმებული აქვს დამატებითი შეთანხმება, აღნიშნული საკითხი თავის მხრივ დარეგულირებულია „სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და მართვის პოლიტიკის დებულება" დოკუმენტით. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია მკაფიოდ, შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას, არ არის ბუნდოვანი ან არ ხდება ძირითადი ფუნქციების დუბლირება.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თანამშრომლები იცნობენ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თავიანთი პოზიციის შესაბამის სამუშაო აღწერილობებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

პროფესიული მიმართულებით სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და შემდგომი პროცესების განხორციელების მიზნით სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი, რომლის ფუნქციებში გარდა სასწავლო პროცესის მართვა-განხორციელებისა, ასევე შედის - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების წარმოება, პროფორიენტაციისა და კარიერული სერვისების ორგანიზება, დამსაქმებელი ორგანიზაციების მოძიება და მათთან მოლაპარაკებების წარმოება, პროფესიული განათლების პოლიტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან მუდმივი კომუნიკაცია და სხვა აქტივობები; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში ცალსახადაა გაწერილი ხარისხის მართვის ამოცანები და შესაბამისი ვალდებულებები; დაწესებულებას პროფესიული განათლების მიმართულებით სტრუქტურაში განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის პოზიცია, რომლის ფუნქცია-მოვალეობები აღწერს მის ძირითად ვალდებულებებს, ესენია ფინასნური დოკუმენტაციის და შესყიდვების წარმოება პროფესიული მიმართულებით ზსდ-ს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით; დაწესებულებას ცალკე პოზიციად გამოყოფილი აქვს რეესტრის სპეციალისტის საშტატო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს რეესტრის წარმოებასა და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან განხორციელებას, პროფესიული მიმართულებით შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სხვა დამხმარე საქმიანობის განსახორციელებლად ზსდ-ს გამოყოფილი აქვს საკუთარი ადამიანური რესურსი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობა გარდა ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებისა განისაზღვრება პროფესიული განათლებაც, ამ მიზნით მათთან გაფორმებულია დამატებითი შეთანხმებები, მათ გააჩნიათ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, ამ ეტაპზე მათ გაცნობიერებული აქვთ პროფესიულ განათლებაში არსებული თავისებურებები და აქვთ მზაობა მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდივრულ და ეფექტურ განხორციელებას, აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან გასაუბრებითაც.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფერო განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - ,,პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები". აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობის მკაფიო სამართლებრივ საფუძველს, განსაზღვრავს მის კომპეტენციებსა და ანგარიშვალდებულებას, ასევე უზრუნველყოფს მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას. ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების სხვა მონაწილეთა უფლებამოსილებებისგან ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკს და ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ობიექტურ განხორციელებას.

ამასთანავე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გეგმავს, კოორდინაციას უწევს და ახორციელებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს ხარისხის შეფასების პროცესების ორგანიზებასა და მიღებული შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და გაუმჯობესების ღონისძიებები.

მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე საქმიანობის სისტემატური შეფასებისა და თვითშეფასების პროცესების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;
- საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან, პროფესიული განათლების სტანდარტებთან და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლების უკუკავშირის სისტემატური შეგროვება, ანალიზი და შეფასება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის კოორდინაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ანგარიშების, ანალიტიკური დოკუმენტებისა და რეკომენდაციების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდასაჭერად;
- ავტორიზაციისა და სხვა გარე შეფასების პროცესებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მომზადების კოორდინაცია და შესაბამისი პროცესების მხარდაჭერა.

აღნიშნული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მყარ ინსტიტუციურ საფუძველს. განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო, ხარისხის შიდა მექანიზმები და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების თანმიმდევრულ, გამჭვირვალე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისობას პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ზსდ-ს რეგულაცია - პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ზსდ-ს საშტატო ნუსხა;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ზსდ-ს სტრუქტურა;
- ზსდ-ს რეგულაცია - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ზსდ-ში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის" დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N 2-46 ბრძანებით და სკოლის სამეურვეო საბჭოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2023 წლის 04 სექტემბრის №6 (ცვლილება საბჭოს სხდომის ოქმი №3 18.06.2025 წ.) სხდომის ოქმით დამტკიცებული „შინაგანაწესი“-ს დოკუმენტებით. დაწესებულების შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური საკითხი. შინაგანაწესით დადგენილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; შვებულების ხანგრძლივობა და გამოყენების წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მატერიალური პასუხისმგებლობა; შრომის პირობების დაცვის წესები; განცხადების/საჩივრის განხილვა.

,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის” რეგულაციის შესაბამისად დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; წესი შესაბამისობაშია როგორც დაწესებულების სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან, ასევე შინაგანაწესთან. აღნიშნული რეგულაციებით უზრუნველყოფილია პერსონალის შერჩევის, კონკურსის ჩატარების, კონკურსის შედეგების გასაჩივრების, კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხელშეკრულების გაფორმების, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართვისა და პერსონალის შეფასების საკითხები.

შესწავლილი დოკუმენტებისა შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

ზსდ-ში პერსონალის შერჩევისა პოლიტიკა და ზოგადი პროცედურები რეგულირდება ,,პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის” დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N 2-46 ბრძანებით, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება თანამშრომელთა სამსახურში მიღების, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის და საქმიანობის შეფასების წესით, რომელიც ქმნის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესის წარმართვისთვის და უზრუნველყოფს პროცედურების შესაბამისობას, როგორც შიდა რეგულაციებთან, ისე მოქმედ კანონმდებლობასთან. პერსონალის მოზიდის მიზნით ვაკანსიების განთავსება ხორციელდება დასაქმების პორტალებზე, ბეწდურ მედიაში, დასაქმების სააგენტოს საინფორმაციო სივრცეში და სოციალურ ქსელებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პოზიციებზე ინფორმაციის გავრცელებას და კანდიდატთა ფართო წრის მოზიდვას.

ვაკანტური პოზიციის წარმოშობის შემთხვევაში დაწესებულება, პირველ რიგში, აფასებს არსებული ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს შიდა საკადრო რესურსების მობილიზების მექანიზმს. თუ არსებული რესურსი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი პოზიციის დაკომპლექტებას, ცხადდება ღია კონკურსი, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსის, ინდივიდუალური გასაუბრების ან, პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებითი შეფასების ფორმების გამოყენებით. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა კანდიდატის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, სამუშაოსთვის აუცილებელ კომპეტენციებს, პროფესიულ უნარებსა და პიროვნულ თვისებებს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული დავალება, პროფესიული ცოდნის შეფასება ან სხვა ობიექტური შეფასების მექანიზმი.

არსებული პრაქტიკის შესწავლისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი, სრულად შეესაბამება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი **„პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“** რომელიც წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ ძირითად რეგულაციას. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული ადმინისტრაციული და დამხმარე პოზიციის ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფერო, ანგარიშვალდებულება და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნასა და ეფექტიან ორგანიზაციულ მართვას. დოკუმენტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავებულია თითოეული პოზიციის ფუნქციური დატვირთვისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით და სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ რეგულაციებთან და დაწესებულების შიდა პოლიტიკასთან. თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია მინიმალური განათლების დონე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა, ტექნიკური და ციფრული უნარები, სახელმწიფო ენისა და, საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენის ფლობის მოთხოვნა, აგრეთვე იმ ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების ცოდნა, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული თანამდებობის ფუნქციების ხარისხიანად შესასრულებლად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მორგებულია თითოეული პოზიციის სპეციფიკასა და ფუნქცია-მოვალეობებზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების შერჩევას და ეფექტიანი საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების ხარისხიან წარმართვას, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებასა და ინსტიტუციური მართვის ეფექტიანობას.

პერსონალის პირად საქმეებში დაცულია კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, მათ შორის: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი მასალები, სამუშაო ხელშეკრულებები, თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ადმინისტრაციული აქტები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები. პერსონალური საქმეების წარმოება ხორციელდება კონფიდენციალურობის, მონაცემთა დაცვისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის პროცესი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებს.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ორგანიზაციული მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციური პროცესების კოორდინირებულ, თანმიმდევრულ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია უზრუნველყოფილია როგორც ოფიციალური სამუშაო შეხვედრებისა და საკონსულტაციო ფორმატების, ასევე ყოველდღიური სამუშაო კომუნიკაციის მეშვეობით. ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი ოფიციალური საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, მათ შორის საერთო ელექტრონული ფოსტის, შიდა ელექტრონული მიმოწერისა და სხვა ციფრული კომუნიკაციის საშუალებებით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებას, სამუშაო პროცესების უწყვეტობას, პასუხისმგებლობების ეფექტიან განაწილებასა და თანამშრომელთა შორის ეფექტიან კოორდინაციას.

გუნდური მუშაობის კულტურა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, პოლიტიკების, პროცედურებისა და სხვა ინსტიტუციური დოკუმენტაციის შემუშავების, განხილვისა და განახლების პროცესში. ასევე, პროფესიული განათლების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, თვითშეფასების, ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისთვის მომზადებისა და სხვა ინსტიტუციური განვითარების პროცესებში გამოიყენება თანამშრომლობითი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოორდინირებულად ასრულებს საკუთარ ფუნქციებს. ეს უზრუნველყოფს პროცესების ეფექტიან მართვას, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებასა და საერთო ინსტიტუციური მიზნების მიღწევას.
დაწესებულების სტურქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა, ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, გუნდური მუშაობის კულტურა და კოლეგიური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები ქმნის მყარ საფუძველს დაწესებულების მდგრადი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ზსდ-ს რეგულაცია - პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ზსდ-ს შინაგანაწესი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა საჩხერე ვ.ნოზაძის ქ. N19
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	5
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ,,Front-End დეველოპმენტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება ერთ მიღებაზე უზრუნველყოფს 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A/B/C სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობა, დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის 10 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 10 კომპიუტერით, რამდენადაც წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, უაღრესად მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოში არსებული აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სარეკომენდაციო მატერიალურ რესურსთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემოს აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, სასწავლო გარემოში წარმოდგენილია ზღვრული რაოდენობის შესაბამისი სტუდენტის მაგიდა და სკამი, შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერები, დემონსტრირების ციფრული საშუალება - ჭკვიანი დაფა, პრინტერი, მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი, პერსონალური კომპიუტერი და დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. **დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელება დაიწყო 2026 წლის 02 თებერვალს, ხოლო საჭირო მატერიალური რესურსი სკოლას გადაეცა მოგვიანებით, კერძოდ 2026 წლის მაისის დასაწყისში, მიუხედავად ამ გარემოებისა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით პრობლემა არ დამდგარა, რამდენადაც სკოლამ უზრუნველყო წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გარემოში 10 ერთეული კომპიუტერის განთავსება სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლები და დადგინდა, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესში დროებით გამოყენებული მატერიალური რესურსით, პროგრამის იმ მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა, რაც განხორციელდა თებერვალი-მაისის თვეში სავსებით შესაძლებელია.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 8 ზოგადი, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 3 პროფესიული მოდულებისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას - 40 საათს. ასევე მასწავლებლები რომლებიც ახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას და აგრეთვე შესაბამისობაშია ნორმატიულ აქტთან" საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის #108/ნ ბრძანების" მე-7 მუხლის თანახმად, მასწავლებლის ანაზღაურებადი სრული სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 25 საათის ოდენობით. დაწესებულებაში მასწავლებელთა დატვირთვა არ სცდება აღნიშნულ ნორმას, ხოლო პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით, ინტეგრირებული მოდულების სწავლება დაგეგმილია კვირაში 3-4 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განათლების სწავლება-შეფასების თავისებურებების საკითხებზე ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რომელიც გაცემულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერთ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის ,,Front-End დეველოპმენტი'' ხელმძღვანელად განსაზღვრულია საერთაშორისო დარგობრივი სერტიფიკატის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც წარმოდგენილ პროგრამაში ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: „მინიმუმ პროფესიული განათლება ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, ან დარგში სწავლების მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება, ან სფეროში აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი." პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან. აღნიშნული დადასტურდა ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ბიბლიოთეკის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2025 წლის 12 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-46 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების, შემუშავების და დამტკიცების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-End დეველოპმენტი'' 2025 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხულ სტუდენტთა ოდენობის გათვალისწინებით დამუშავებული აქვს სამოქმედო ბიუჯეტი, რომლის 2026 წელში შემოსულობებისა და ხარჯვითი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 10 პროფესიული სტუდენტი, დოკუმენტი მოიცავს პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს.

მიმდინარე ეტაპზე ზსდ-ში მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,Front-End დეველოპმენტი'' სწავლობს 5 პროფესიული სტუდენტი, რაც თავის მხრივ რენტაბელობის ზღვრულ მაჩვენებელზე ნაკლებია, ამასთან დაკავშირებით, ზსდ-ს მიერ განიმარტა, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება ნებადართული და მხარდაჭერილია, ფინანსური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში სასწავლო პროცესი განხორციელდება სკოლის რესურსის დახმარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A/B/C გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის სამოქმედო ბიუჯეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-End დეველოპმენტი" მატერიალური რესურსი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

24.06.2026 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------